ემოციური ინტელექტის, პროფესიული წარმატებულობისა და ტემპერამენტის ურთიერთკავშირი

როზა ტელოიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

სარჩევი

ცხრილებისა და სურათების ჩამონათვალი.....3

აბსტრაქტი.....4

შესავალი.....6

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....9

თავი 1. ემოციური ინტელექტი.....9

თავი 2. ემოციური ინტელექტი და წარმატებულობა.....14

თავი 3. ემოციური ინტელექტი და ტემპერამენტი.....17

თავი 4. კვლევის საკითხის განსაზღვრა.....21

თავი 5. მეთოდოლოგია.....23

თავი 6. შედეგები.....24

თავი 7. შედეგების ინტერპრეტაცია.....28

თავი 8. დასკვნა და რეკომენდაციები.....30

გამოყენებითი ლიტერატურა……32

დანართი A……....34

დანართი B……46

დანართი C……51

ცხრილებისა და სურათების ჩამონათვალი

ცხრილი #1. აღწერითი სტატისტკა ემოციური ინტელექტისთვის სქესის მიხედვით.....24

სურათები

სურათი #1. ტემპერამენტის მახასიათებლების განაწილება...25

სურათი #2. პროფესიული წარმატებულობის პროცენტული მაჩვენებლები.....25

სურათი #3. ტემპერამენტის მახასიათებლებისა განაწილება წარმატებულობის მიხედვით.....27

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ემოციური ინტელექტის, პროფესიული წარმატებულობისა და ტემპერამენტის მახასიათებლების (ექსტრავერსია-ინტროვერსიის) ურთიერთმიმართების კვლევა.

კვლევის ინსტრუმენტებს წარმოადგენს თვითანგარიშის ტიპის კითხვარები: (ა) ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი **(TEIQue) (K.Petrides, 2009)**; (ბ) კარიერით კმაყოფილების სკალა **(Campbell et al. 1976)**; (გ) აიზენკის პიროვნული კითხვარი **(EPI) (Eysenck , H. 1964).**

კვლევაში მონაწილეობდა 25-35 წლის ასაკამდე 70 პირი (37 ქალი, 33 მამაკაცი).

მონაცემთა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა შემდეგი შედეგები: (1) ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებელი წარმოადგენს პრედიქტორს პროფესიული წარმატებულობისათვის **($r=0.497$, $p<0.05$)**. (2) ემოციური

ინტელექტის გლობალური მაჩვენებელსა და ექსტრავერსიას შორის არსებობს დადებითი კორელაცია **(r=0.505, p<0.05)**. (3) ექსტრავერსია განსაზღვრავს წარმატებულობას **(r=0.873, p<0.05)**. (3)

კვლევას აქვს პრაქტიკული ღირებულება. კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია რეკომენდაციების შემუშავება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პროგრამებისთვის, ტრენინგ-მოდულებისთვის, რომელთა მიზანი იქნება წარმატების მიღწევა პროფესიულ სფეროში და ემოციური ინტელექტის განვითარება.